საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N1627 2022 წლის 5 სექტემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის 2022-2030 წლებისთვის“ პროექტის მოწონებისა და ნ. თათულაშვილის საქართველოს პარლამენტში მომხსენებლად დანიშვნის თაობაზე

1. „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 მარტის №143 დადგენილებით (შემდგომში - №143 დადგენილება) დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, მოწონებულ იქნეს „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის 2022-2030 წლებისთვის“ პროექტი.

2. „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის 2022-2030 წლებისთვის“ პროექტი წარედგინოს საქართველოს პარლამენტს.

3. №143 დადგენილებით შექმნილ სამუშაო ჯგუფს დაევალოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმების შემუშავება „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის 2022-2030 წლებისთვის“ შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

4. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის 2022-2030 წლებისთვის“ პროექტზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში - ნიკო თათულაშვილი.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**